განკარგულება:**გ-37.37222153**
თარიღი:**03/08/2022**

განკარგულება N 43

ქ. ოზურგეთი 3 აგვისტო 2022წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში ბულვარის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად შექმნილი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. სსიპ. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2022 წლის 20 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გრანტის სახით გადმოცემული, დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში ბულვარის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად შექმნილი ქონების (სულ ღირებულებით 5,683,212,23 (ხუთი მილიონ ექვსას ოთხმოცდასამიათას ორასთორმეტი ლარი და 23/100) ლარი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მომსახურების ცენტრი“-სთვის უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, 2022 წლის 1 ნოემბრამდე, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი